„ვამტკიცებ”

საქართველოს ჯუდოს ეროვნული
ფედერაცია

---

9 სექტემბერი 2024 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

2012-2013 წლებში დაბადებულთა სარეიტინგო ტურნირი 3

2024 წელი
5-6 ოქტომბერი
თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2012-2013 წლებში დაბადებული ძიუდოისტები, რომელთაც შესარჩევ შეჯიბრებებში მოიპოვეს სარეიტინგო ტურნირში ასპარეზობის ლიცენზია.
- სპორტსმენებს უფლება აქვთ შეიცვალონ წონითი კატეგორია და იასპარეზონ მხოლოდ ზედა წონით კატეგორიაში.
- შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია საწევრო გადასახადის 100 (ასი) ლარის ჩარიცხვა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე. რის შემდეგაც ძიუდოისტს უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

- დებულება საწევროს შესახებ
  საწევროს სარეგისტრაციო ფორმა
  საბანკო ანგარიში - საქართველოს ბანკი.
  მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - **BAGAGE22**
  მიმღების ანგარიშის ნომერი - **GE55BG0000000121179301**

IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრება ჩატარდება 2024 წლის 5-6 ოქტომბერს თბილისში, ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- ჩამოსვლის დღე – 4 ოქტომბერი, წასვლის დღე – 7 ოქტომბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10:00 საათი.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 2 წუთი (სუფთა დრო);
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 9 წონით კატეგორიაში:
- -30კგ, -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ, +60კგ;
  5 ოქტომბერი: -30კგ, -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ;
  6 ოქტომბერი: -50კგ, -55კგ, -60კგ, +60კგ.

VI. აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია. ბელიაშვილის 38.

აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს.

4 ოქტომბერი: -30კგ, -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ;

5 ოქტომბერი: -50კგ, -55კგ, -60კგ, +60კგ.

არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;

ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

საკონტაქტო პირი – 577994407 ზურაბ უსუფაშვილი.

ფინანსური საკითხები: 577994420 ინგა რაზმაძე, 558132632 ქეთი მიხელიძე.

P.S.

- ძიუდოისტებისთვის შეჯიბრებაზე აუცილებელია თეთრი და ლურჯი ფერის კიმონოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი — გიორგი ათაბეგაშვილი